ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა

კომისიის სხდომის **დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი**

2022 წლის 21 დეკემბერი

17:00 საათი

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნებიდან“ გასვლის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების: მერაბ ჭოხონელიძისა და ბექა ქებულაძის განცხადებების განხილვის შესახებ

ქალბატონი თეა ჯუღელი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის შესახებ

ქალბატონი თეა ჯუღელი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

3. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საკითხის განხილვის თაობაზე

ბატონი დავით ნიშნიანიძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო პოლიტიკისა და
სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი

ქალბატონი თეა ჯუღელი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის
სხდომის

ო ქ მ ი № 24

21 დეკემბერი, 2022 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის
შენობა, რუსთაველის გამზ. №3, მეორე სართული,
საკონფერენციო დარბაზი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი თეა ჯუღელი.

ესწრებოდნენ: საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრები: თ. ჯუღელი, დ. მხეიძე, გ.ბასილაძე, პ. ლილუაშვილი, ბ. მახარაძე, ბ.ქებულაძე.

სულ: 11 წევრიდან 6 წევრი.

არ ესწრებოდნენ: საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრები: ხ.არველაძე, კ.გაბუნია, ლ.შალამბერიძე, თ.მესხი, რ. ქვაჩაკიძე.

სულ: 5 წევრი

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი დავით ნიშნიანიძე.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თეა ჯუღელმა.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის 24-ე სხდომის
დღის წესრიგის პროექტის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის **თავმჯდომარემ, ქალბატონმა თეა ჯუღელმა** წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის 24-ე სხდომის **დღის წესრიგის** შემდეგი პროექტი:

1. ქალაქ ქუთაისის მინიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნებიდან“ გასვლის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების: მერაბ ჭოხონელიძისა და ბექა ქებულაძის განცხადებების განხილვის შესახებ

ქალბატონი თეა ჯუღელი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის შესახებ

ქალბატონი თეა ჯუღელი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

3. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საკითხის განხილვის თაობაზე

ბატონი დავით ნიშნიანიძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო პოლიტიკისა და
სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით, კომისიის წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თეა ჯუღელმა კომისის 24-ე სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის 24-ე სხდომის **დღის წესრიგი** დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, **თეა ჯუღელის** მიერ ზემოთ წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის პირველი საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საკითხის განხილვის თაობაზე**

ზემოაღნიშნულ საკითხზე ბიუჯეტის პროექტი, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელმა, **ბატონმა დ. ნიშნიანიძემ.**

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი თეა ჯუღელი: „ბატონო დავით, იურიდიულ კომისიას ჰქონდა შენიშვნა, რომ ბიუჯეტის პროექტში მითითებული ყოფილიყო კონკრეტული მუხლი პრეამბულის ნაწილში, რაც საჭიროა მისთვის, როგორც ნორმატიული აქტისათვის. როგორც ვნახე ეს გათვალისწინებული არის."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი დავით ნიშნიანიძე: „ვინაიდან იურიდიული კომისიაა, მე ძირითადად თქვენგან ველოდები ახლა შენიშვნებს."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი თეა ჯუღელი: „რეკომენდაციები გვქონდა გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით, რადგან კანონში არის მითითებული, რომ ბიუჯეტი უნდა იყოს გენდერულად მგრძნობიარე. ვნახე, რომ ესეც გაზიარებულია".

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი დავით ნიშნიანიძე: „ეს საკითხი მხოლოდ ჩვენზე არ არის დამოკიდებული, რეალურად ჩვენ არ ვწერთ პროგრამას. ჩვენი სამსახური სხვადასხვა სამსახურების მიერ დაწერილ პროგრამებს აერთიანებს ერთ დოკუმენტად. ამიტომ ამ სამსახურებმა უნდა უზრუნველყონ პროგრამებში აღნიშნული საკითხის შეტანა, მაგალითად: სოციალურმა მის პროგრამებში, კეთილმოწყობის სამსახურმა მის პროგრამებში და ამ კუთხით მათთან იქნება ინტენსიური მუშაობის ჩატარება საჭირო".

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი თეა ჯუღელი: „თუ კომისიის წევრებს არ აქვთ სხვა შენიშვნები, შეგვიძლია კენჭი ვუყაროთ იმ ფორმით, რაც ამ ეტაპზე ჩვენთან არის წარმოდგენილი".

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თეა ჯუღელმა დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება.

კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრები : **ხ.არველაძე, კ.გაბუნია, ლ.შალამბერიძე, თ.მესხი, რ. ქვაჩაკიძე.**

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიამ განმეორებით განიხილა რა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი, მოწონებულ იქნას 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული პრიორიტეტები, პროგრამები და ქვეპროგრამები.

აღნიშნულ საკითხზე მომზადდეს შესაბამისი დასკვნა და წარდგენილ იქნას საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომაზე.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-2 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მინიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნებიდან“ გასვლის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების: მერაბ ჭოხონელიძისა და ბექა ქებულაძის განცხადებების განხილვის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თ. ჯუღელმა.**

მან აღნიშნა: „მოგეხსენებათ, ფრაქცია „ქართული ოცნებამ“ მოგვაწოდა ოქმი, საკრებულოს წევრების: მერაბ ჭოხონელიძისა და ბექა ქებულაძის ფრაქციიდან გასვლის თაობაზე. ფრაქციის თავმჯდომარემ გამოაგზავნა წერილი და ჩვენ გვაქვს ვალდებულება ცნობად მივიღოთ ეს საკითხი“.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრი, ბატონი გია ბასილაძე: „ადამიანის ნების წინააღმდეგ ვერ წავალთ“.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი თეა ჯუღელი: „ დიახ, თავისუფალი ნების გამოხატვაა და მათი არჩევანია. წარმოდგენილია ბატონი ბექასა და ბატონი მერაბის განცხადებები, ასევე ფრაქციის წერილი. აქედან გამომდინარე, ცნობად უნდა მივიღოთ ეს ინფორმაცია“.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თეა ჯუღელმა დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება.

ღია კენჭისყრით ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

მუხლი 1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 30[1] მუხლის მე-2 პუნქტისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 35-ე მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ, ცნობად უნდა იქნეს მიღებული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების: მერაბ ჭოხონელიძისა და ბექა ქებულაძის განცხადებები ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნებიდან“ გასვლის თაობაზე.

ზემოთხსენებული განცხადებების ცნობად მიღების მომენტიდან საკრებულოს ბიურომ ცნობად უნდა მიიღოს, რომ:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, მერაბ ჭოხონელიძე საქმიანობას წყვეტს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტისა და ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიებში, როგორც საკრებულოს ფრაქცია „ ქართული ოცნების“ მიერ, ამ კომისიებში წარდგენილი წევრი;
2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბექა ქებულაძე საქმიანობას წყვეტს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიებში, როგორც საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ ამ კომისიებსა და კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარედ წარდგენილი წევრი.

მუხლი 2. აღნიშნულ საკითხზე მომზადდეს კომისიის შესაბამისი დასკვნა და წარედგინოს ბიუროს უახლოეს სხდომას.

გამომდინარე იქედან, რომ სხდომის სამუშაო დრო (18:00 საათი) ამოიწურა, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალაბატონი თეა ჯუღელი შემოვიდა წინადადებით, სხდომის მუშაობის ერთი სააათით - 19:00 საათამდე გაგრძელების შესახებ. სხდომა გაგრძელდა ერთი საათით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-2 საკითხის განხილვის შემდეგ, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, **ქალბატონ თეა ჯუღელის** მიერ გამოცხადდა შესვენება 30 წუთით. შესვენების შემდგომ მოხდა დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-3 საკითხის განხილვა.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-3 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის შესახებ“**

ზემოაღნიშნული საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, **ქალბატონმა თ. ჯუღელმა.**

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თეა ჯუღელმა დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება.

კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრები : **ხ.არველაძე, კ.გაბუნია, ლ.შალამბერიძე, თ.მესხი, რ. ქვაჩაკიძე, ბ. მახარაძე.**

ღია კენჭისყრით ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

მუხლი 1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის $ბ^1$ ქვეპუნქტის, 28-ე მუხლის მე-2 და 2^3 პუნქტების, 30^1 მუხლის მე-3 პუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტეის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და 36-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე:

განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში კომისიის წევრთა რაოდენობა შემდეგნაირად:

1. საკრებულოს იურიდულ საკითხთა კომისიაში - საკრებულოს 11 წევრი;
2. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში - საკრებულოს 17 წევრი;
3. საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში - საკრებულოს 16 წევრი;
4. საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიაში - საკრებულოს 12 წევრი;
5. საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში - საკრებულოს 14 წევრი.

დამტკიცდეს პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წარდგინებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არჩეულ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთაგან საკრებულოში შექმნილი ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობებში წევრთა წარდგენის პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები:

1. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიაში - 5 წევრის ოდენობით;

2. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში - 8 წევრის ოდენობით;
3. საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში - 8 წევრის ოდენობით;
4. საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიაში - 5 წევრის ოდენობით;
5. საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში - 6 წევრის ოდენობით.

დამტკიცდეს პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარდგინებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არჩეულ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთაგან საკრებულოში შექმნილი ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მიერ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობაში წევრთა წარდგენის პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები:

1. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიაში - 5 წევრის ოდენობით;
2. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში - 6 წევრის ოდენობით;
3. საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში - 6 წევრის ოდენობით;
4. საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიაში - 5 წევრის ოდენობით;
5. საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში - 6 წევრის ოდენობით;

დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობაში საკრებულოს იმ წევრთა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები, რომლებიც გაერთიანებული არ არიან არცერთ ფრაქციაში:

1. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიაში - 1 წევრის ოდენობით;
2. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში - 3 წევრის ოდენობით;
3. საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში - 2 წევრის ოდენობით;
4. საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიაში - 2 წევრის ოდენობით;
5. საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში - 2 წევრის ოდენობით.

მუხლი 2. აღნიშნულ საკითხზე მომზადდეს შესაბამისი დასკვნა და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თეა ჯუღელმა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის 24-ე სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დამთავრების გამო, კომისიის 24-ე სხდომის მუშაობა დასრულებულად გამოაცხადა.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის 24-ე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის იურიდიულ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე თეა ჯუღელი